



შენაბამოსობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკი“

ადგილობრივი თვითმმართველი
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

27 12 2019 წელი

N 77/36

ეგზ.: N1

დუშეთის მუნიციპალიტეტის
2017-2018 წლების ბიუჯეტებით
გათვალისწინებული
პროგრამების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები	3
შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები	4
შესავალი	10
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	10
აუდიტორის პასუხისმგებლობა	10
აუდიტის საგანი	11
აუდიტის მასშტაბი	11
აუდიტის კრიტერიუმები	11
აუდიტის მიზანი	13
აუდიტის მეთოდოლოგია	13
აუდიტის მიგნებები	15
ბიუჯეტის შესრულება	15
მოსახლეობის წყალმომარაგება	18
შესყიდვების მართვა	22
გამარტივებული შესყიდვების ხარვეზები	22
ხელშეკრულების ცვლილების ხარვეზი	26
მიწოდების პირობების დარღვევაზე დაწესებული საჯარიმო სანქცია	27
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	28
უხარისხოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტები	28
შეძენილი მასალების ნაშთები	31
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	33
საკონსულტაციო მომსახურება	33
საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები	35
ავტოპარკის მართვაში გამოვლენილი ხარვეზები	37
ქონების იჯარით გაცემისას არსებული ნაკლოვანებები	40
იურიდიული პირების მართვაში არსებული ხარვეზები	42
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ხარვეზი	44
ინვენტარიზაცია	45
შიდა აუდიტის სამსახური	46
საგრანტო პროგრამის განხორციელება	47
წინა აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა	48
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	49

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

მუნიციპალიტეტი - დუშეთის მუნიციპალიტეტი;

მერია - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია;

საკრებულო - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;

შემსყიდველი ორგანიზაცია - დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია;

ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;

შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- 1) მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დაგეგმილი პროექტების დროულად განხორციელება, ასევე საბიუჯეტო შემოსავლებისა და გადასახდელების სათანადოდ დაგეგმვა. შედეგად, მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა მნიშვნელოვანი საბიუჯეტო რესურსი, მათ შორის თავისუფალი ნაშთი. აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.
- 2) მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს წყლის სისტემების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილს წყალი შეფერხებით მიეწოდება, ან მიეწოდება სასმელად უვარგისი, ტექნიკური წყალი. არ არის განხორციელებული აბონენტების გამრიცხველიანება და არ ხდება მოხმარებული წყლის გადასახადის ამოღება. ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“ ვერ უზრუნველყოფს წყლის სისტემების სათანადო მოვლა-პატრონობას და არ ფლობს წყალმომარაგების განაწილების ლიცენზიას.
- 3) მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ხარვეზებით. რიგ შემთხვევებში სათანადოდ არ არის დასაბუთებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზანშეწონილობა. შედეგად მუნიციპალიტეტმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. ასევე ანგარიშსწორების პროცესში არ იქნა დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები და სამუშაოების ღირებულება ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების გაანგარიშების გარეშე, რაც ქმნის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.
- 4) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად გაუარესდა მერიის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის პირობები. კერძოდ, გაიზრდა შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი და შესაბამისი თანხა ზედმეტადაა ანაზღაურებული.
- 5) მუნიციპალიტეტში მოწყობილი ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილი დაზიანებულია, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარებით. შესაბამისად, მერიის მიერ დანერგილი კონტროლის მექანიზმები ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხის უზრუნველყოფის

შესახებ, ყველა შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების უხარისხოდ შესრულების თავიდან აცილებას. ასევე არ მომხდარა სათანადო შემდგომი რეაგირება გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

-)/ ქონების მართვასა და კონტროლის პროცესში არსებულმა სისუსტეებმა გამოიწვია მუნიციპალიტეტის ქონების ნაწილის არაეფექტიანად განკარგვა. შედეგად, მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.
-)/ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო სხვადასხვა დროს შეძენილი და გადმოცემული სამშენებლო მასალების სრულად გამოყენება. შესაბამისად, დაგეგმილი ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დროულად ვერ განხორციელდა.
-)/ მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურებისთვის ხარჯის გაღება, ვინაიდან მერიას გააჩნია შრომითი რესურსი და მიზანშეწონილია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. ამდენად, მერიის მიერ საკონსულტაციო მომსახურებაზე გაწეულია არარაციონალური ხარჯი.
-)/ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
-)/ მერიას არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტმა ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.
-)/ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც თანამშრომელთა სრული ფუნქციური დატვირთვის შესახებ სათანადო ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია №1. მუნიციპალიტეტმა, ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე

ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

რეკომენდაცია №2. მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგებისა და წყლის ხარისხის რადიკალურ გაუმჯობესებას. ასევე განახორციელოს სათანადო ღონისძიებები, რათა წყლის სისტემების ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით დარეგისტრირებულმა ლიცენზირებულმა კომპანიამ. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესებასა და ქსელის გამართულ ექსპლუატაციას.

რეკომენდაცია №3. მუნიციპალიტეტის მერიამ, გამარტივებული წესით შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის სათანადო დასაბუთების საფუძველზე. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. მუნიციპალიტეტმა გამარტივებული წესით შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებზე ანაზღაურებულ თანხებზე მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები. მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

რეკომენდაცია №4. მუნიციპალიტეტის მერიამ, ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, გამოიყენოს საჯარიმო სანქციები, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას.

რეკომენდაცია №5. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ

ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №6. მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული ღონისძიებები დაგეგმოს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის დროულად დასრულებას. მერიამ შეისწავლოს გამოუყენებელი და დასაწყობებული მასალების მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დაწყებული პროექტების დასასრულებლად. ასევე დააწესოს სათანადო კონტროლი საქმიანობის პროცესში შესყიდული სამშენებლო მასალების ოპერატიულ ხარჯვასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაგეგმილი პროექტების დროულად განხორციელებას.

რეკომენდაცია №7. მერიამ არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა, რადგან მსგავსი საქმიანობის განხორციელებისთვის დაქირავებული ჰყავს თანამშრომლები. მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტმა შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% უნდა მიმართოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამშრომლები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, მიზანშეწონილია, საკონსულტაციო მომსახურების ყოველწლიურად შესყიდვის ნაცვლად, მერიამ შეიმუშაოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

რეკომენდაცია №8. მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაუროს მხოლოდ შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

რეკომენდაცია №9. მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ, რომელიც მიზანშეწონილია დაფუძნებული იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პრინციპებზე.¹ მერიამ დააწესოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის არარაციონალური და არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების თავიდან აცილებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს საწვავის ხარჯვის საკითხი და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები პასუხისმგებელი პირების მიმართ.

რეკომენდაცია №10. მუნიციპალიტეტის მერიამ, უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვა საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, განახორციელოს საიჯარო ფასების კორექტირება. ასევე, მერიამ დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელთა საშუალებით მინიმუმამდე იქნება შემცირებული მუნიციპალური ქონების თვითნებურად დაკავების რისკი. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მობილიზებას.

რეკომენდაცია №11. მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ფუნქციური დატვირთვა. საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოსთან შეთანხმებით უზრუნველყოს საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

რეკომენდაცია №12. მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი ორგანიზება, რომელიც მოახდენს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

¹საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაცია №13. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინოს ღონისძიებათა გეგმა აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის; გონივრულ ვადაში ასევე წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ; მერიამ გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება და არ გაატარეს საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2018 წლებში ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 22,599.4 ათასი ლარი.

აუდიტის კრიტერიუმები²

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
-)/ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;

² 2017-2018 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ინსტრუქცია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება, ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის შესახებ“;
- დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 დეკემბრის №33 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;

-)/ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №40 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის №11 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №29 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ სხვა სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

-)/ აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
-)/ ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
-)/ მონაცემთა ანალიზი.
-)/ დაკვირვება

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 18 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 2 დაბას, 288 სოფელსა და ადმინისტრაციულ ცენტრს ქ.დუშეთს.³ მუნიციპალიტეტის ფართობია 2,981.5 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 26.1 ათასს კაცს.⁴

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 5,477.6 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 9,885.8 ათასი ლარი, განათლება - 2,691.4 ათასი ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,801.8 ათასი ლარი, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 2,649.6 ათასი ლარი, ხოლო თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 93.2 ათასი ლარი.

³ ინფორმაციის წყარო - mreg.reestri.gov.ge

⁴ ინფორმაციის წყარო - www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2018 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი.

აუდიტის მიგნებები

ბიუჯეტის შესრულება

შემოსულობები და გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2017-2018 წლების შემოსულობებმა – 24,092.5 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 22,599.4 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)

დასახელება	2017 წელი			2018 წელი			სულ ფაქტი
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
შემოსულობები	10,212.4	11,527.0	113%	12,688.5	12,565.5	99%	24,092.5
შემოსავლები	10,101.2	11,374.0	113%	12,655.7	12,462.5	98%	23,836.5
არაფინანსური აქტივების კლება	111.2	153.0	138%	32.8	103.0	314%	256.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0%	0.0	0.0	0%	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0%	0.0	0.0	0%	0.0
გადასახდელები	14,175.3	10,946.9	77%	17,291.0	11,652.5	67%	22,599.4
ხარჯები	6,334.5	5,828.1	92%	7,750.5	7,098.9	92%	12,927.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,327.5	4,755.5	65%	8,916.4	4,225.6	47%	8,981.1
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	0%	0.0	0.0	0%	0.0
ვალდებულებების კლება	513.3	363.3	71%	624.1	328.0	53%	691.3
ნაშთის ცვლილება	-3,962.9	580.1		-4,602.5	913.0		

2017 წელს შემოსულობების გეგმის გადაჭარბება გამოიწვია საგადასახადო შემოსავლების 28%-იანმა და სხვა შემოსავლების 54%-იანმა მატებამ. 2018 წელს შემოსულობების გეგმა შესრულდა 99%-ით. მათ შორის საგადასახადო შემოსავლები - 105%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლების დაგეგმილი მაჩვენებელი 314%-ით. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული ტრანსფერების საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულებამ კი 92% შეადგინა.

2017 წელს გადასახდელების გეგმა შესრულდა 77%-ით. დაგეგმილ პარამეტრებს არ შეესაბამება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის მაჩვენებელი. ნაცვლად 7,327.5

ათასი ლარისა დახარჯულია 4,755.5 ათასი ლარი – გეგმის 65%. გადასახდელების გეგმა შეუსრულებელია 2018 წელსაც. კერძოდ, წლის განმავლობაში დახარჯულია დაგეგმილი თანხის მხოლოდ 67%. რაც შეეხება „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლს, 2018 წელს ადგილი აქვს მხოლოდ 47%-იან შესრულებას და 8,916.4 ათასი ლარის ნაცვლად ათვისებულია 4,225.6 ათასი ლარი.

2017-2018 წლებში გამოიკვეთა გადასახდელების შემცირების ტენდენცია, რაც „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის არასათანადო შესრულებამ განაპირობა. ამასთან, 2018 წელს წინა წელთან შედარებით გადასახდელების შეუსრულებლობის მაჩვენებელი გაზრდილია. მუნიციპალიტეტმა წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები. მაგალითად, 2017 წლის აგვისტოში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მუნიციპალიტეტს გამოეყო 1,000.0 ათასი ლარი. თუმცა წლის ბოლომდე მერიამ ვერ მოახერხა შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება და თანხის ათვისება.⁵ შედეგად, მოსახლეობამ დაგეგმილ ვადებში ვერ შეძლო ინფრასტრუქტურული პროექტებით სარგებლობა.

ინფორმაცია ზოგიერთი შეუსრულებელი პროექტის შესახებ მოცემულია ცხრილში №2.

ცხრილი N2. 2017-2018 წლების ბოლოს შეუსრულებელი პროექტები

(ათასი ლარი)

წელი	პროექტი	პროექტის ღირებულება	წლის ბოლოს შესრულებული	ათვისების მაჩვენებელი
2017	ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია	118.7	0	0%
2017	ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია	112.8	0	0%
2017	მადაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიით დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია	75.5	0	0%
2018	ფიტავის დასახლებაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია	232.9	0	0%
2018	ქ.დუშეთში ერისთავის ქუჩის და თეატრის ქუჩის მოასფალტება	60.3	12.0	19.9%
2018	ქ.დუშეთში ზუაჩიძის ქუჩისა და სოფ. ჭოპორტის მიმართულებით გზის მონაკვეთის მოასფალტება	181.0	36.0	19.9%
2018	სოფ. ჯავახიანთკარში სასმელი წყლის რეაბილიტაცია	68.2	26.8	39.3%

⁵ 2018 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტს კაპიტალური ტრანსფერების ნაწილი ჩაერიცხა საბიუჯეტო წლის ბოლოს, შესაბამისად მათი ათვისება მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა.

საბიუჯეტო ნაშთები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტმა მიღებული შემოსულობები და საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები სრულად უნდა ასახოს ბიუჯეტში და მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, სოციალური ან სხვა პროექტების განსახორციელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მოსახლეობის სასიკეთოდ.

გამოვლენილი გარემოება. 2017 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთი შეადგენდა 4,022.4 ათას ლარს, რომლიდანაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 3,962.9 ათასი ლარის გამოყენება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების ზრდამ 580.1 ათასი ლარი შეადგინა და წლის ბოლოს დაფიქსირდა ნაშთი 4,602.5 ათასი ლარი, მათ შორის 1,637.9 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთი იყო.⁶

2018 წლის ბიუჯეტით მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის სრულად გამოყენება, თუმცა, წინა წლის მსგავსად ადგილი ჰქონდა ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებას (913.0 ათასი ლარი) და 2019 წლის 1 იანვრისთვის ნაშთი შეადგენდა 5,515.5 ათას ლარს, მათ შორის 1,290.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთი იყო.

როგორც ზემოაღნიშნული მონაცემებიდან ჩანს თითოეული წლის ბოლოს ფულადი სახსრების ნაშთის სახით რჩება მნიშვნელოვანი თანხები. მათი ნაწილი მიმართულია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ პროექტები დროულად ვერ სრულდება ან სამუშაოების მიწოდების ვადა გადადის მომდევნო წელს, ანგარიშსწორება მიმდინარე საბიუჯეტო წელს ვერ ხორციელდება და გამოყოფილი თანხები წლის ბოლოს ირიცხება ნაშთად.

თავისუფალი ნაშთის არსებობა ნაწილობრივ განპირობებულია შემოსავლების გეგმის გადაჭარბებით შესრულებითა და ბიუჯეტის შესრულების შედეგად დარჩენილი ეკონომიებით. 2017 წელს შემოსავლების გეგმა შესრულდა 1,191.1 ათასი ლარის გადაჭარბებით, საიდანაც 792.1 ათასი ლარი წარმოადგენს ქონების გადასახადის სახით მიღებულ შემოსავალს. რაც შეეხება 2018 წელს, გეგმის ზევით მიღებულმა შემოსავალმა 608.9 ათასი ლარი შეადგინა. გადაჭარბება ძირითადად გამოწვეულია „სხვა შემოსავლების“ სახით მიღებული თანხებით. აღსანიშნავია, რომ ქონების გადასახადის სახით მიღებული შემოსავლის დაგეგმვა მუნიციპალიტეტს არ შეეძლო, რადგან მის საპროგნოზო

⁶თავისუფალი ნაშთი – ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; მუხლი 6.)

მაჩვენებელს იღებს ფინანსთა სამინისტროდან, ხოლო შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტში შემოდის წლის ბოლოს. თუმცა დანარჩენი შემოსავლებისა და სხვადასხვა საბიუჯეტო მუხლებში წარმოქმნილი ეკონომიების ოპტიმალურად განსაზღვრა და შესაბამისი თანხით სხვადასხვა პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტისთვის შესაძლებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ არსებული საბიუჯეტო ნაშთები მოიცავს აგრეთვე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2014-2016 წლებში მიღებულ დაფინანსებას, რომლის ათვისება და ხარჯვა მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ უზრუნველყო. 2017 წლის ბოლოს აღნიშნული თანხა შეადგენდა 311.0 ათას ლარს, ხოლო 2018 წლის ბოლოს - 233.4 ათას ლარს.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ 2017-2018 წლების ბოლოს მერიას აუთვისებელი დარჩა მნიშვნელოვანი მოცულობის თანხები, მათ შორის თავისუფალი ნაშთი, ხოლო მუნიციპალიტეტში მოსაწყობია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი (ობიექტების ნაწილი დასასრულებელია, ან/და სარემონტო), მერიამ ვერ უზრუნველყო ბიუჯეტში ნაშთის სახით არსებული ფულადი სახსრების დროულად გამოყენება ამ პრობლემების მოსაგვარებლად. აღნიშნული მიანიშნებს მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან მართვაზე, მოსახლეობა კი დროულად ვერ სარგებლობს შესაბამისი სიკეთით.

რეკომენდაცია №1. მუნიციპალიტეტმა, ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული თავისუფალი ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთანავე, ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

მოსახლეობის წყალმომარაგება

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.⁷

⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

კანონმდებლობის მიხედვით⁸ - სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო ეპიდემიური და რადიაციული თვალსაზრისით, ქიმიური შემადგენლობით – უვნებელი. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

გამოვლენილი გარემოება. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. შესაბამისად, ამ მიმართულებით წლის განმავლობაში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან მნიშვნელოვანი რესურსი იხარჯება, მაგალითად: 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტმა დაახლოებით 1,765.0 ათასი ლარი დახარჯა წყლის მომარაგების სისტემების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული 18 ადმინისტრაციული ერთეულიდან,⁹ ქ. დუშეთის, დაბა ფასანაურის, დაბა ჟინვალისა და მიმდებარე სოფლებისთვის სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. დანარჩენ სოფლებში მოსახლეობას წყალი მიეწოდება სხვადასხვა დროს მოწყობილი წყლის სისტემებით, ხოლო ნაწილი სარგებლობს ჭებითა და წყაროებით. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით 17 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები 9114 ოჯახიდან წყალი მუდმივად მიეწოდება 5404 ოჯახს, დანარჩენ ოჯახებს კი მიეწოდებათ გრაფიკით ან შეფერხებით.

გამოიკვეთა მოსახლეობის წყალმომარაგების შემდეგი პრობლემური მიმართულებები:

მუნიციპალიტეტში 2018 წელს შეიქმნა ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“, რომლის მიზნებსაც წესდების მიხედვით წარმოადგენს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის მოპოვება და მისი ტექნოლოგიური დამუშავება, დასახლებების წყალმომარაგება სასმელი წყლით და ა.შ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიას, რომელიც პასუხისმგებელია სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და მიწოდებული წყლის ხარისხზე უნდა გააჩნდეს შესაბამისი ლიცენზია.¹⁰ ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“ აღნიშნულ ლიცენზიას არ ფლობს. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლებში არსებული სისტემები მის ბალანსზე არ ირიცხება. 2018-

⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის № 58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

⁹ 1 ქალაქი, 2 დაბა და 288 სოფელი.

¹⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. მუხლი 163, პუნქტი 1.

2019 წლების მდგომარეობით ა(ა)იპ შემოიფარგლებოდა მხოლოდ წყლის სისტემებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრით, რაც პასუხისმგებელი პირის განმარტებით განპირობებულია ორგანიზაციის დაფინანსების სიმცირით.

სოფლებში არსებულ წყლის სისტემებს არ აქვთ გამწმენდი ნაგებობები. 2017-2018 წლებში მოწყობილი წყალმომარაგების 10 სისტემის ფარგლებში მოეწყო საქლორატოროები, თუმცა ისინი აუდიტის მიმდინარეობის ეტაპზე არ ფუნქციონირებდნენ. შესაბამისად, მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყალი რიგ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს და მოსახლეობის ნაწილს მიეწოდება სასმელად უვარგისი, ტექნიკური წყალი. აღნიშნულს ადასტურებს 2019 წელს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დუშეთის ზოგიერთ სოფელში განხორციელებული სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგის შედეგები. კერძოდ, სოფლების (ბულაჩაურის, არაგვისპირისა და გრემისხევის) საბავშვო ბაღებში აღებული სინჯების შემოწმებით გამოვლინდა, რომ წყლის ნიმუშები არ შეესაბამებოდა ნორმას.

მუნიციპალიტეტის კუთვნილ წყლის სისტემებზე მრიცხველები დამონტაჟებული არ არის. გამრიცხველიანების არარსებობის გამო, მოსახლეობის ნაწილი წყალს მოიხმარს უკონტროლოდ (მათ შორის სარწყავად), რაც იწვევს წყლის რეზერვების შემცირებასა და შეფერხებით მიწოდებას. ასევე აღსანიშნავია, რომ მრიცხველების არარსებობის გამო ვერ ხერხდება მოხმარებულ წყალზე გადასახადის დაწესება და ამოღება.

აუდიტის ჯგუფმა ადგილზე დაათვალიერა 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტში მოწყობილი წყლის სისტემები. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა ანალოგიური პრობლემები:

-)/ 2017 წლის №237 ხელშეკრულების ფარგლებში ჭოპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბულაჩაურში განხორციელდა წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია ღირებულებით 152.9 ათასი ლარი. მოსახლეობის განმარტებით სისტემის საშუალებით წყალი პერიოდულად მიეწოდებათ.
-)/ 2017 წლის №289 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა სოფელ მჭადიჯვრის წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 188.2 ათასი ლარი. დათვალიერების დროს გამოვლინდა, რომ მოწყობილი საუბნო ონკანების ნაწილი დაზიანებულია (მოტეხილია), ასევე მოსახლეობის განცხადებით წყალი შეფერხებით მიეწოდებათ.
-)/ 2018 წლის № 205 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულდა ჩირდილელიანთკარის წყლის სისტემის რეაბილიტაცია, თანხით - 456.1 ათასი ლარი. მოსახლეობის

ნაწილს, რომლებიც დასახლებულია სოფლის ზედა ნაწილში წყალი შეფერხებით მიეწოდება.

-)/ 2018 წლის №206 ხელშეკრულების ფარგლებში სოფელ ჩინთსა და დაბა ჟინვალში მოეწყო წყლის სისტემა, ღირებულებით - 443.0 ათასი ლარი. ობიექტის დათვალიერების დროს დაბა ჟინვალში არსებულ სისტემაში წყალი არ მოდიოდა და მოსახლეობის განცხადებით ისინი წყლით ვერ სარგებლობენ.

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა განმარტებით, აღნიშნულ შემთხვევებში წყალმომარაგების პროცესში არსებული პრობლემები (წყლის დეფიციტი და გრაფიკით/შეფერხებით მიწოდება) გამოწვეულია მოსახლეობის მიერ სასმელი წყლის უკონტროლო ხარჯვით. რაც შეეხება მიწოდებული წყლის სასმელად ვარგისიანობას, წყლის სისტემების მოწყობის ბოლო ეტაპზე ხდებოდა წყლის ლაბორატორიული დასკვნების წარმოდგენა. დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ ოთხ შემთხვევაში: სოფელ მჭადიჯვარში, სოფელ ჩირდილელიანთკარში, სოფელ ჩუბინიანთკარსა და სოფელ ჩანადირთკარში მოპოვებული წყალი ლაბორატორიული დასკვნების მიხედვით სასმელად უვარგისი იყო. მიუხედავად ამისა, მერიის მიერ დამატებითი ღონისძიებები დროულად არ გატარებულა.¹¹

დასკვნა

მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს წყლის სისტემების მოწყობასა და რეაბილიტაციაზე. მიუხედავად ამისა, მოსახლეობას ხშირ შემთხვევაში წყალი შეფერხებით მიეწოდება, ან მიეწოდება სასმელად უვარგისი, ტექნიკური წყალი. არ არის განხორციელებული აბონენტების გამრიცხველიანება, ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“ არ ფლობს ლიცენზიას და ვერ უზრუნველყოფს წყლის სისტემების სათანადო მოვლა-პატრონობას. აღსანიშნავია, რომ პრობლემები ატარებს სისტემურ ხასიათს. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი ნაშთის სახით არსებული ფინანსური რესურსის ეფექტიანი დაგეგმვითა და გამოყენებით, თუმცა მერიას ამ პრობლემების მოგვარების მიზნით, სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №2. მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგებისა და წყლის ხარისხის რადიკალურ გაუმჯობესებას. ასევე განახორციელოს სათანადო ღონისძიებები, რათა წყლის სისტემების ექსპლუატაცია

¹¹ აუდიტის შედეგებზე ინფორმირების შემდეგ მერიამ ახალი ლაბორატორიული შემოწმების ჩატარების მიზნით მოიწვია სპეციალისტები.

და მოვლა-შენახვა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით დარეგისტრირებულმა ლიცენზირებულმა კომპანიამ. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესებასა და ქსელის გამართულ ექსპლუატაციას.

შესყიდვების მართვა

გამარტივებული შესყიდვების ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2018 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვაზე გაფორმებულია 23 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 1,446.0 ათასი ლარი, მათ შორის: 2017 წელს - 5 ხელშეკრულება, ღირებულებით 138.7 ათასი ლარი, ხოლო 2018 წელს - 18 ხელშეკრულება, ღირებულებით 1307.4 ათასი ლარი.

კრიტერიუმი. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ გარემოებებს. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მაქსიმალურად უნდა აარიდოს თავი ისეთ ქმედებას, რომელიც ხელოვნურად იწვევს გადაუდებელი შესყიდვის აუცილებლობას.¹²

გამოვლენილი გარემოება. სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვების საფუძვლად მუნიციპალიტეტს მითითებული აქვს გადაუდებელი აუცილებლობა. თუმცა, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით აღნიშნული საფუძვლების მიზანშეწონილობა ზოგიერთ შემთხვევაში არ დასტურდება. კერძოდ:

- 1) 2018 წლის 26 დეკემბერს შპს „ზიმოსთან“ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გაფორმდა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება. შესყიდვის ობიექტი იყო სოფელ ჩოხში, გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმის მშენებლობის დასრულების სამუშაოები, ღირებულებით - 397.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სოფელ ჩოხში კლიმატური პირობების გათვალისწინებით სამუშაოების წარმოება სირთულეს წარმოადგენს, რაც მერიისთვის წინასწარვე იყო ცნობილი. სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკი შედგენილი იყო ისე, რომ სამუშაოები უნდა დაწყებულიყო აპრილის თვეში. შესაბამისად, შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან სამუშაოების დაწყებისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობების დადგომამდე ტენდერის პროცედურების ჩატარებაც შესაძლებელი იქნებოდა.

¹² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“.

2018 წელს მუნიციპალიტეტმა ხანდოს ხეობაში განახორციელა ნაპირსამაგრი სამუშაოების შესყიდვა. პროექტის ფარგლებში ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა მოწყობილიყო ორი გაბიონი. მერიამ ერთი გაბიონის მოწყობის მიზნით გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმა შპს „არქ-ბილდინგთან“ იმავე წლის 28 ნოემბერს,¹³ ხოლო მეორე გაბიონის მოსაწყობად გამოაცხადა ტენდერი 2018 წლის 25 დეკემბერს.¹⁴ იმის გათვალისწინებით, რომ მდინარის ნაპირის გამაგრების სამუშაოების ფარგლებში გვერდიგვერდ (რამდენიმე მეტრის დაშორებით) უნდა მოწყობილიყო ორი გაბიონი, ერთ-ერთ მათგანზე ტენდერის გამოცხადება და მეორის გამარტივებული წესით შესყიდვა არალოგიკური გადაწყვეტილებაა. პასუხისმგებელი პირების განმარტებით აღნიშნული გამოიწვია პროექტის ავტორის მიერ თითოეული გაბიონის ხარჯთაღრიცხვის სხვადასხვა დროს მომზადებამ. მერიის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება იყო წარმოდგენილი პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების გაკონტროლება და პროცესის სწორად ორგანიზება. შესაბამისად, მხოლოდ ერთ გაბიონის მოწყობაზე გამარტივებული შესყიდვის განხორციელება არ იყო მიზანშეწონილი.

აღსანიშნავია, რომ შპს „არქ ბილდინგთან“ გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ფარგლებში მოეწყო 169.5 კუბ. მეტრი გაბიონი, ღირებულებით - 48.6 ათასი ლარი. ხოლო ტენდერის შედეგად შპს „ინშაათ საქართველოსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში - 139.5 კუბ. მეტრი გაბიონი, ღირებულებით - 23.0 ათასი ლარი. ერთი კუბ. მეტრი გაბიონის მოწყობის ღირებულებამ, თანმდევი სამუშაოებით გამარტივებული შესყიდვის დროს 286 ლარი, ხოლო ტენდერის შემთხვევაში - 165 ლარი შეადგინა. შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოს გამარტივებული წესით შესყიდვის შედეგად მუნიციპალიტეტმა დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა და გასწია დაახლოებით 20.0 ათასი ლარის არაეკონომიური ხარჯი.¹⁵

ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით ანაზღაურების ხარვეზი

კრიტერიუმი. საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად,¹⁶ გამარტივებული შესყიდვის გზით

¹³ CMR180197140.

¹⁴ NAT180020898.

¹⁵ 48600-169,5*165.

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო

განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებებით, ანგარიშ-ფაქტურებით, ხელფასის ჩარიცხვის დოკუმენტით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებული ხელშეკრულებების ფარგლებში ანაზღაურებულია 598.6 ათასი ლარი.¹⁷ იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულება აღემატებოდა 50.0 ათას ლარს, ანგარიშსწორება განხორციელებულია ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე. დასკვნების მიხედვით მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილია შესაბამისი საბუღალტრო დოკუმენტაცია და დაანგარიშებულია მათ მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯები. დანარჩენი 18 ხელშეკრულების ფარგლებში, ანაზღაურებულია 305.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა ხდებოდა მერიაში.

აუდიტის ჯგუფმა, გაწეული ხარჯის კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასადგენად, მოითხოვა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აუდიტის ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია. კერძოდ: სასაქონლო ზედნადებები, მანქანა-მექანიზმებზე გაწეული ხარჯების ან/და ხელფასების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ მერიის შესაბამისი თანამშრომლების მიერ არ არის შედგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის შედარების აქტები, ამასთან, არც მიღება-ჩაბარების აქტებშია დაფიქსირებული, რომ ასანაზღაურებელი თანხა ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვითაა განსაზღვრული.

წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევაში მასალების შესყიდვის დოკუმენტებში დაფიქსირებული ფასები არ შეესაბამება შესრულებული სამუშაოს აქტებში (ფორმა №2) მითითებულ ფასებს. ასევე ზოგიერთ მიმწოდებელს მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამოდ, აუნაზღაურდა ნაქირავებ მანქანა-მექანიზმებზე დარიცხული ზედნადები

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“.

¹⁷ ერთი ხელშეკრულება გაფორმებულია 2016 წელს (ხელ. N380), თუმცა ანგარიშსწორება დასრულდა 2017 წელს.

ხარჯები და გეგმიური მოგების პროცენტი.¹⁸ ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ანგარიშსწორებას ახორციელებდა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების სრულად წარმოდგენისა და დაანგარიშების გარეშე, რაც ქმნის საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურების რისკს. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში უნდა მოხდეს სრული ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, გადახდილ თანხასთან შესაბამისობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ზედმეტად ანაზღაურებული თანხების ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხარვეზი დაფიქსირებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად ამისა მერიის მიერ სათანადო რეაგირება განხორციელებული არ არის და დარღვევა კვლავ ფიქსირდება.

დასკვნა

2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვები განხორციელებულია ხარვეზებით. რიგ შემთხვევებში სათანადოდ არ არის დასაბუთებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების მიზანშეწონილობა. შედეგად მუნიციპალიტეტი კარგავს სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობას, რაც იწვევს არაეკონომიურ ხარჯს. ასევე ანგარიშსწორების პროცესში არ იქნა დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები და 305.4 ათასი ლარი ანაზღაურებულია ფაქტობრივი დანახარჯების სათანადოდ დათვლის გარეშე, რაც ქმნის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკს.

რეკომენდაცია №3. მუნიციპალიტეტის მერიამ გამარტივებული წესით შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის სათანადო დასაბუთების საფუძველზე. ამასთან, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მიზანშეწონილია, მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. მუნიციპალიტეტმა გამარტივებული წესით შესყიდულ სამშენებლო სამუშაოებზე ანაზღაურებულ თანხებზე მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მიხედვით დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებს ზედნადები ხარჯი და მოგება არ დაერიცხება.

შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამობების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

ხელშეკრულების ცვლილების ხარვეზი

კრიტერიუმი. კანონმდებლობის თანახმად, მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობები.¹⁹

გამოვლენილი გარემოება. 2017 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „არქილდინგისგან“ შეისყიდა სოფელ გრემისხევში ბოგირის მოწყობის სამუშაოები სოფლის მთავარი გზისა და მიქელაანთხევის გადაკვეთაზე. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 55.1 ათასი ლარი.²⁰ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად ხარჯთაღრიცხვა დაკორექტირდა და მისი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა რკინა-ბეტონის ანაკრები კონსტრუქციის მოწყობას, შეიცვალა მონოლითური რკინა-ბეტონით.²¹ თავდაპირველი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მოწყობის ღირებულება იყო 42.4 ათასი ლარი, ხოლო კორექტირების შემდეგ მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მოწყობის ღირებულებად განისაზღვრა 39.1 ათასი ლარი. ხარჯთაღრიცხვის დანარჩენი პუნქტების მოცულობებს ცვლილება არ შეხება. განხორციელებული კორექტირებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო თანხა უნდა შემცირებულიყო 3.3 ათასი ლარით. თუმცა ანგარიშსწორების დროს თანხა სრულად ანაზღაურდა, რადგან სხვაობის თანხის პროპორციულად გაიზარდა ხარჯთაღრიცხვის სხვა პუნქტებში განფასებული სამუშაოების ერთეულის ფასები, მოცულობების შეუცვლელად. შესაბამისად, აღნიშნული თანხა მუნიციპალიტეტის მიერ დაუსაბუთებლად (ზედმეტად) ანაზღაურდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს, ხარჯთაღრიცხვის კორექტირებისას არ უმსჯელია რამდენად უარესდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის მდგომარეობა განხორციელებული ცვლილებით. მიმწოდებელთან ანგარიშსწორებისას არ იქნა დაცული ფინანსური

¹⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. მუხლი 36.

²⁰ NAT170005836.

²¹ სამუშაოების წარმოების პროცესში აღმოჩნდა, რომ გრუნტი იყო არამდგრადი და საჭირო გახდა ანაკრები რკინა-ბეტონის კონსტრუქციის შეცვლა მონოლითური კონსტრუქციით.

რესურსის რაციონალური და ეკონომიური ხარჯვის პრინციპები. შედეგად, მუნიციპალური ბიუჯეტიდან ზედმეტად ანაზღაურდა 3.3 ათასი ლარი.

მიწოდების პირობების დარღვევაზე დაწესებული საჯარიმო სანქცია

კრიტერიუმი. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებში გამოიყენება საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისათვის ეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ დღეებზე. ჯარიმების მიზანია მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევის პრევენცია და აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს მისი მაჩვენებლების განსაზღვრა.

გამოვლენილი გარემოება. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, მუნიციპალიტეტი 2017-2018 წლებში იყენებდა საჯარიმო სანქციის მინიმალურ ოდენობას, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენციას და მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვას. კერძოდ, საჯარიმო სანქცია სამუშაო ვადის დარღვევისათვის გათვალისწინებული იყო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. აღნიშნული მიმწოდებლებს აძლევდა შესაძლებლობას სამუშაოს, მომსახურებისა და საქონლის მიწოდების ვადის მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაშიც კი, გადაეხადათ მინიმალური ჯარიმები. შედეგად, მუნიციპალიტეტში ფერხდებოდა პროექტების შესრულება. რამდენიმე მაგალითი მოცემულია ცხრილში:

ცხრილი №3 შესყიდვის დროს დაწესებული დაბალი საჯარიმო სანქცია (ლარი)

სამუშაოს დასახელება	მიმწოდებელი	ხელშეკრულების ღირებულება	ვადაგადაცილებული დღეები	პირგასამტეხლო
დაბა ქინვალის შესასვლელში თაღის რეაბილიტაცია	შპს „ჯ.ს.ბ. საქართველო“	17,583	132	552
ქ.დუშეთში ერეკლე მეორეს ქუჩაზე ხიდის რეკონსტრუქცია	შპს „ტექსერვისი“	45,103	127	84
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მომზადება	ი/მ გელა წოწკოლაური	13,500	118	319
წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	შპს „მამული 2016“	99,452	116	1961
სოფ.ხორხის ხეობაში სტიქიით დაზიანებული გზების რეაბილიტაცია	შპს „დარი“	166,609	114	2,512
ქ.დუშეთში ბუხაიძის ქუჩაზე სანიაღვრის მოწყობა	შპს „მოხიკო ენერჯი“	8,255	103	9
ანანურის ა/ე გზის მოასფალტება	შპს „როუდ სოლუშენი“	211,583	62	2,624
წითელისოფელი-ბულაჩაურის საავტომობილო გზის მოასფალტება	შპს „გზამშენი-7“	318,037	49	666
სოფ. მუგუდამი გზის რეაბილიტაცია	შპს „გეო-მონტაჟი“	119,000	43	1,023
სოფ. გომეწარში გზის აღდგენა	შპს „დაპ“	45,951	42	546

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა სამუშაოს, მომსახურებისა და საქონლის შესყიდვისას მიწოდების ვადების დარღვევისათვის დააწესა დაბალი პირგასამტეხლო. გამოყენებულმა საჯარიმო სანქციებმა ვერ უზრუნველყო შესყიდვის ობიექტების დაგვიანებით მიწოდების პრევენცია. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სამუშაოები მუნიციპალიტეტს მიეწოდებოდა დიდი ხნის დაგვიანებით, რაც თავის მხრივ იწვევდა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დაწყებისა და დასრულების გადავადებას. შედეგად, მოსახლეობა დროულად ვერ იღებდა შესაბამის სიკეთეს.

რეკომენდაცია №4. მუნიციპალიტეტის მერიამ, ხელშეკრულების პირობები განსაზღვროს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი. მათ შორის, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, გამოიყენოს საჯარიმო სანქციები, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების პრევენციას.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

უხარისხოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტებით გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ხარისხიანი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტს შეუძლია, როგორც შიდა კონტროლის სისტემის გამართვით, ასევე სამუშაოების ხარისხზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტში შესრულდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო დასკვნის ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ დადასტურებული სამუშაოების საფუძველზე.

სამუშაოების დასრულების ეტაპზე მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურებულია მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება.²² ხარისხი შესწავლილი არ არის ან შეფასებულია ვიზუალურად. ტექნიკური ზედამხედველების მიერ ასევე დადასტურებულია მხოლოდ მოცულობები. აღსანიშნავია, რომ ვიზუალური დათვალიერება ვერ უზრუნველყოფს იმის დადასტურებას თუ რამდენად ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგული კონტროლის პროცედურები ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნების მიღებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე.

აუდიტის ჯგუფმა 2019 წლის 10-11 ივლისს მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტები. შედეგად გამოვლინდა, რომ სამუშაოების ნაწილი სავარაუდოდ შესრულებულია უხარისხოდ, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. კერძოდ:

კულტურის სახლის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტმა განახორციელა ქ. დუშეთში კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია. ამ მიზნით 2016 წელს გამოცხადდა ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება - შპს „გარანტთან“.²³ შესრულებული სამუშაოების საერთო ღირებულებამ შეადგინა 698.8 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდებოდა ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე. სამუშაოები დასრულდა 2017 წლის აპრილში. მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სამუშაოები, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე.²⁴ დასკვნის მიხედვით შემოწმებულია მხოლოდ შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ღირებულება, ხოლო ხარისხი შესწავლილია ვიზუალურად. სამუშაოები ჩაბარებულია მუნიციპალიტეტის მიერ, რითაც ფაქტობრივად დადასტურებულია მისი შესაბამისობა სამშენებლო სტანდარტებთან და ნორმებთან.

ობიექტის ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ერთ-ერთ ოთახში დაზიანებულია იატაკი, ასევე გათბობის სისტემა არ მუშაობს სათანადოდ. კერძოდ არ თბება მცირე დარბაზი, მისი მიმდებარე ოთახი და ჰოლი.

²²სატენდერო და სახელშეკრულებო პირობებით მოთხოვნილია ექსპერტიზის დადებითი დასკვნების წარმოდგენა, თუმცა დაკონკრეტებული არ არის რომ დასკვნა უნდა მოიცავდეს ხარისხის შეფასებასაც.

²³ NAT160000312, ხელშეკრულება №315.

²⁴ დასკვნა შედგენილია შპს „რეალექსპერტის“ მიერ.

სურათი №1. დუშეთის კულტურის სახლი



სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვრა 2 წელი, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის ვადაში წარმოქმნილი დაზიანებებისა და გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტმა გათბობის სისტემის ხარვეზის გამოსწორების მიზნით რამდენჯერმე მიმართა მიმწოდებელს, ხოლო იატაკის დაზიანებასთან დაკავშირებით არ მიუმართავს. შენობაში არსებული ხარვეზები გამოსწორებული არ არის. მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა საკმარისი სამართლებრივი ღონისძიებები გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრის მიზნით.

მსგავსი ხარვეზები ფიქსირდება სხვა პროექტების შემთხვევაშიც, კერძოდ:

ცხრილი №4 ინფორმაცია დაზიანებული ობიექტების შესახებ (ათასი ლარი)

პროექტის დასახელება	შესყიდვის №	ღირებულება	მდგომარეობა
დაბა ფასანაურის საბავშვო ბაღი	NAT170007193	16.7	შიდა კედელი დაზარალულია და ნაწილობრივ ჩამოცვენილია საღებავი
სოფ. ქვეშეთში საბავშვო ბაღი	NAT170005089	9.7	შენობის გარე კედელზე ჩამოყრილია ბათქაში, შიდა კედელი დეფორმირებულია, შეინიშნება მცირე ბზარები, ჩამოცვენილია საღებავი.
სოფ. ჭართლის საბავშვო ბაღი	NAT170005747	20.4	დაზიანებულია სამზარეულოს კედელი
№3 საბავშვო ბაღი	SPA180007628	5.3	გაკრული ფილები არ არის სათანადოდ მიმაგრებული კედელზე.
ქ. დუშეთში არსებული სკვერი	NAT170009989	31.5	დაზიანებულია ბეტონის ფილების ნაწილი და სკვერში განთავსებული ინვენტარი (სკამი და საქანელა)

ხელშეკრულებების მიხედვით სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადად განსაზღვრულია 5 წელი, რომლის განმავლობაში მიმწოდებლები ვალდებული არიან საკუთარი ხარჯებით უზრუნველყონ ექსპლუატაციის ვადაში წარმოქმნილი დაზიანებების და გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტმა მხოლოდ №3 საბავშვო ბაღში გამოვლენილი

ხარვეზების გამოსწორების მიზნით მიმართა მიმწოდებელს 2019 წლის მაისში.²⁵ მიუხედავად ამისა, დაზიანებები გამოსწორებული არ არის. დანარჩენ შემთხვევებში მუნიციპალიტეტს არ მიუმართავს მიმწოდებლისთვის დაზიანებების აღმოფხვრის მოთხოვნით. შედეგად მერიას არ განუხორციელებია საკმარისი სამართლებრივი ღონისძიებები შესრულებულ სამუშაოებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რის გამოც დაზიანებები კვლავ ფიქსირდება და საჭიროებს დამატებით სამუშაოებს. აღსანიშნავია, რომ აუდიტის შედეგებზე ინფორმირების შემდეგ, მერიამ 2019 წლის დეკემბერში მიმართა მიმწოდებლებს დაფიქსირებული დაზიანებების აღმოფხვრის მოთხოვნით.²⁶

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მერიამ ჩაიბარა ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა ხარისხიც სათანადოდ დადასტურებული არ იყო. შედეგად, სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, მათ მიმართ გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, რაც არ განუხორციელებია.

რეკომენდაცია №5. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღებისა და ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. ნათლად უნდა განისაზღვროს, კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებასა და პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას. მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

შეძენილი მასალების ნაშთები

კრიტერიუმი. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანს მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება

²⁵ 10 მაისის წერილი №09/10255 და 29 მაისის წერილი №09/11968.

²⁶ აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, მიმწოდებლის მიერ №3 საბავშვო ბაღში დაფიქსირებული ხარვეზი გამოსწორებულია.

წარმოადგენს. პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება და ამ მიზნით დაგეგმილი პროექტების დასრულება.

გამოვლენილი გარემოება. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბალანსზე ნაშთად ირიცხება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით შეძენილი 236.3 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალები. აღნიშნულიდან 2017-2018 წლებში შესყიდული და გამოუყენებელი მასალების ღირებულება შეადგენს 27.4 ათას ლარს. რაც შეეხება დანარჩენ მასალებს, მათი ნაწილი, ღირებულებით - 44.0 ათასი ლარი, 2012-2013 წლებში უსასყიდლოდ მიღებულია შემოსავლების სამსახურიდან, ხოლო 164.9 ათასი ლარის მასალები კი შესყიდულია 2010-2016 წლებში. შესყიდული მასალებით დაგეგმილი იყო მუნიციპალიტეტის სოფლებში სარიტუალო დარბაზების, სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და სხვა სამუშაოების განხორციელება. განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერების დროს, აუდიტის ჯგუფმა ასევე დაათვალიერა გამოუყენებელი და დასაწყობებული მასალების ნაწილი. მასალების სრულად გადამოწმება ვერ მოხერხდა, სოფლების რაოდენობისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო. აღსანიშნავია, რომ აუდიტის ობიექტის განმარტებით, ბალანსზე რიცხული მასალების ნაწილი გამოყენებულია, თუმცა იმის გამო, რომ შესაბამისი დოკუმენტაცია არ შედგენილა, ისინი კვლავ ირიცხებოდა ბალანსზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.²⁷ აუდიტის შედეგებზე ინფორმირების შემდეგ, მერიამ დაიწყო ღონისძიებები გამოყენებული და ჩამოსაწერი მასალების დაზუსტების მიზნით.

მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო პროექტების სრულყოფილად შესრულებისათვის დაეწესებინა სათანადო კონტროლი შესყიდული მასალების დროულ ხარჯვაზე, აღრიცხვასა და გამოყენებაზე, რაც ვერ იქნა უზრუნველყოფილი.

დასკვნა

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიას ბუღალტრულად ნაშთად ერიცხებოდა 236.3 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა დროს შეძენილი და გადმოცემული მასალები, რომელთა ნაწილი გამოუყენებელია. შესაბამისად მერიამ

²⁷ ბალანსზე აღრიცხულია შემდეგი მასალები: წყლის ავზები, მილები, მავთულბადე, ლითონის ფურცლოვანა, სამშენებლო ბლოკი, არმატურა, ხის მასალა და სხვ.

სრულად ვერ უზრუნველყო დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება.

რეკომენდაცია №6. მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული ღონისძიებები დაგეგმოს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის დროულად დასრულებას. მერიამ შეისწავლოს გამოუყენებელი და დასაწყობებული მასალების მდგომარეობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დაწყებული პროექტების დასასრულებლად. ასევე დააწესოს სათანადო კონტროლი საქმიანობის პროცესში შესყიდული სამშენებლო მასალების ოპერატიულ ხარჯვასა და დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაგეგმილი პროექტების დროულად განხორციელებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

საკონსულტაციო მომსახურება

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომელიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,²⁸ მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.

გამოვლენილი გარემოება. 2017 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „დაუ“-გან შეისყიდა საკონსულტაციო მომსახურება, ღირებულებით 4.8 ათასი ლარი. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შპს „დაუ“-ს ევალებოდა მუნიციპალიტეტისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია ბიუჯეტის პროექტის შედგენის, განხილვის, მიღების, ცვლილების შეტანის, შესრულების, გარე და შიდა აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ევალებოდა ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ ცალკეულ ნორმატიულ აქტებზე საკონსულტაციო კომენტარებისა და განმარტებების მომზადება/მიწოდება და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით შპს „დაუ“-ს მუნიციპალიტეტს პერიოდულად წარუდგენდა კანონმდებლობაში შესული ცვლილებების კრებულს, გარდა აღნიშნულისა

²⁸ თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 101, პუნქტი 2.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლები საჭიროებიდან გამომდინარე მიმწოდებელთან გადიოდნენ ზეპირ კონსულტაციებს.

2018 წელს მუნიციპალიტეტმა მემორანდუმი გააფორმა ა(ა)იპ „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან“. მემორანდუმის თანახმად, ასოციაცია უზრუნველყოფს კორპორატიული წევრის მონაწილეობას სახელმწიფო პოლიტიკის ფისკალურ საქმეებში, განსაზღვრავს თვითმმართველობის ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკის ძირითად პრობლემებს, დახმარებას უწევს კორპორატიული წევრს ბიუჯეტის ფორმირებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების აღრიცხვიანობის მოწესრიგებაში. აგრეთვე მუნიციპალიტეტს უნდა გაუწიოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება, მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების, თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებში და სხვ. მემორანდუმის ფარგლებში, 2018 წელს მუნიციპალიტეტმა ასოციაციას გადაუხადა 10.0 ათასი ლარი.

ასევე აღსანიშნავია, რომ 2017 წელს მერიას შრომითი ხელშეკრულებებით დასაქმებული ჰყავდა სამი პირი: მრჩეველ-კონსულტანტი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში, მრჩეველი ფინანსური მართვის, კონტროლისა და შიდა აუდიტის საკითხებში და მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში. ანალოგიურად 2018 წელს დაქირავებული იყო ორი პირი: სპეციალისტი საბიუჯეტო დაგეგმვისა და საბუღალტრო საკითხებში და მოწვეული სპეციალისტი სამართლებრივ საკითხებში. აღნიშნულ პირებს შესამოწმებელ პერიოდში ანაზღაურების სახით სულ მიღებული აქვთ 77.1 ათასი ლარი, მათ შორის 4.5 ათასი ლარი პრემია.

2017-2018 წლებში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურსა და იურიდიულ განყოფილებაში ჯამურად დასაქმებული იყო შესაბამისად, 15-14 თანამშრომელი, მათზე გაცემულმა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში 252.0 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო სამსახურში ისეთი კადრები დაესაქმებინა, რომელთაც გააჩნდათ კანონმდებლობის სათანადო ცოდნა, შეეძლოთ მათი საქმიანობაში გამოყენება და შესაბამისად, დაიცავდნენ მერიის ინტერესებს სხვადასხვა მხარეებთან ურთიერთობაში. აგრეთვე, უზრუნველყოფდნენ ბიუჯეტის შედგენა-შესრულებას, ქონების აღწერას და სხვ. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობის თანახმად, მერიას შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% უნდა მიემართა მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რაც არ განუხორციელებია. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ საკონსულტაციო მომსახურებისთვის ხარჯის გაღების მიზანშეწონილობა არ არის დასაბუთებული.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაფერისი და საკმარისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და მიზანშეწონილია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა განეხორციელებინათ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 91.9 ათასი ლარი წარმოადგენს არარაციონალურ ხარჯს.

რეკომენდაცია №7. მერიამ არ განახორციელოს ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებაზე ხარჯის გაწევა, რადგან მსგავსი საქმიანობის განხორციელებისთვის დაქირავებული ჰყავს თანამშრომლები. მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტმა შრომის ანაზღაურების არანაკლებ 1% უნდა მიმართოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის შესაბამისი თანამშრომლები საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, მიზანშეწონილია, საკონსულტაციო მომსახურების ყოველწლიურად შესყიდვის ნაცვლად, მერიამ შეიმუშაოს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია. აღნიშნული უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების დაზოგვას და რაციონალურად ხარჯვას.

საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად,²⁹ მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,³⁰ ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა,

²⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

³⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში, მუნიციპალიტეტში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესით.³¹ წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ხარჯების ასანაზღაურებლად განესაზღვრათ ზღვრული მოცულობა, ყოველთვიურად 397 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს³² 2017-2018 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 158.8 ათასი ლარი.³³ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები. თანხების გაცემის საფუძველია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები საკრებულოს წევრებისათვის ხარჯის ანაზღაურების შესახებ. თავის მხრივ, საკრებულოს წევრები ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველთვიურ ინფორმაციას წარუდგენდნენ საკრებულოს აპარატის უფროსს, მათი აქტივობების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს. გარდა ამისა, ძირითად შემთხვევებში საკრებულოს წევრებზე ყოველთვიურად გაცემულია ფიქსირებული თანხა, ლიმიტის მაქსიმალური ოდენობა – 397.5 ლარი. ნაკლებად სარწმუნოა, რომ საკრებულოს წევრებს, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებს, ზუსტად იდენტური დანახარჯები ჰქონდეთ. ნაკლებად სარწმუნოა ასევე ის გარემოებაც, რომ დანახარჯები ყოველთვიურად უცვლელია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 158.8 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხარვეზი დაფიქსირებული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-

³¹ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის №11 და 2017 წლის 20 ნოემბრის №29 დადგენილებები.

³² 20-21 წევრზე.

³³ 2017 წელს - 90.4 ათასი ლარი, 2018 წელს - 68.4 ათასი ლარი.

2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. მიუხედავად ამისა, მერიის მიერ სათანადო რეაგირება განხორციელებული არ არის და დარღვევა კვლავ ფიქსირდება.

რეკომენდაცია №8. მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაუროს მხოლოდ შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

ავტოპარკის მართვაში გამოვლენილი ხარვეზები

კრიტერიუმი. საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილებით განისაზღვრა საბიუჯეტო ორგანიზაციებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობა, ავტოპარკის გადანაწილების, სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაციისა და შესყიდვის ფორმა.³⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 2018 წლის 30 მარტიდან ეთხოვათ მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე ნორმატიული აქტის მიღება, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესისა და პრინციპების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია ხარჯების გაწევისას გაითვალისწინოს საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულება. მისი ფუნქციების განხორციელებისთვის გამოიყენოს რაციონალური მიდგომა ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით.

გამოვლენილი გარემოება. მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანების შესყიდვის წესის შესახებ.

³⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგილი საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, საწვავის ხარჯვის მიზნობრიობის კონტროლი „აგაი“ სისტემის მეშვეობით ხორციელდება.³⁵ აღნიშნული სისტემის მეშვეობით საწვავი გამოიყენება მხოლოდ ავტორიზებულ ავტომანქანებზე და მინიმუმამდეა დაყვანილი არამიზნობრივი ხარჯვის რისკები, როგორცაა საწვავის ჩასხმა არასამსახურებრივი დანიშნულებისათვის, არაავტორიზებულ ავტომანქანაში და სხვ.

მუნიციპალიტეტში „აგაი“ სისტემა დამონტაჟებული იყო 2017 წელს სამსახურებრივ 6 ავტომობილსა და კერძო საკუთრებაში მყოფ 46 ავტომანქანაზე, ხოლო 2018 წელს მუნიციპალიტეტის კუთვნილ 5 ავტომობილსა და კერძო საკუთრებაში მყოფ 50 ავტომანქანაზე.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 2017-2018 წლებში ავტომანქანებზე გახარჯულია 243.4 ათასი ლარის ღირებულების 129.8 ტონა საწვავი. მათ შორის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ მანქანებში ჩასხმულია 63.5 ათასი ლარის ღირებულების 34.4 ტონა საწვავი, ხოლო კერძო საკუთრებაში მყოფ ავტომობილებში - 179.9 ათასი ლარის ღირებულების 95.4 ტონა საწვავი.

შვებულების პერიოდში გახარჯული საწვავი

აღსანიშნავია, რომ 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ 3300 ლიტრამდე საწვავი გახარჯულია თანამშრომლების შვებულებაში ყოფნის დროს, მათ შორის 2900 ლიტრამდე ჩასხმულია კერძო საკუთრებაში მყოფ ავტომობილებში, ხოლო 400 ლიტრამდე მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ განპიროვნებულ მანქანებში.

საწვავის ჩასხმის ჯერადობები

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შედეგად გამოვლინდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ცალკეულ ავტომანქანაზე ერთი დღის განმავლობაში, მათ შორის დროის მცირე ინტერვალში, საწვავი ჩასხმულია რამდენჯერმე და მათი ჯამური მოცულობა ავტორიზირებული ავტომანქანის საწვავის ავზის მოცულობას აღემატება. 2017-2018 წლებში გამოვლინდა 33 ასეთი შემთხვევა და ჩასხმული იქნა ჯამში 3600 ლიტრი საწვავი. მათ შორის, 13 შემთხვევაში სულ 6 ავტომობილში, რომელთა ავზების მოცულობა 55-60 ლიტრია, ერთჯერადად ჩასხმულია 100-110 ლიტრი საწვავი. ხოლო 20 შემთხვევაში სულ 5 ავტომობილში ერთი დღის განმავლობაში (მათ შორის დროის მცირე ინტერვალში)

³⁵ აგაი სისტემა - სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართ სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას და, შედეგად, უზრუნველყოფს მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე პრემიუმის ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

დაფიქსირდა საწვავის რამდენჯერმე ჩასხმა და ჩასხმული საწვავის მოცულობა ავზის მოცულობას აღემატება. მაგალითად:

ცხრილი №5. საწვავის ჩასხმის ჯერადობა.

წელი	მესაკუთრე	მანქანის მოდელი	ჩასხმის თარიღი	ავზის მოცულობა (ლიტრი)	ჩასხმის ჯერადობა	ჩასხმული საწვავის მოცულობა
2017	მუნიციპალიტეტი	VOLVO S-80	30.01.2017	60	2	107
2017	მუნიციპალიტეტი		14.02.2017	60	2	103
2017	მუნიციპალიტეტი		09.02.2017	60	2	108
2017	მუნიციპალიტეტი		01.07.2017	60	2	104
2017	მუნიციპალიტეტი		02.09.2017	60	2	100
2018	მუნიციპალიტეტი		27.01.2018	60	2	100
2017	კერძო	VAZ-2107	05.02.2017	40	3	100
2017	კერძო	VAZ-2121	15.02.2017	60	3	100
2017	კერძო		11.03.2017	60	3	100
2017	კერძო		17.04.2017	60	3	100
2018	კერძო	MITSUBISHI	03.04.2018	60	2	100
2018	კერძო		05.06.2018	60	2	100
2018	კერძო		18.07.2018	60	2	100
2018	კერძო		03.08.2018	60	2	100
2018	კერძო		06.11.2018	60	2	149
2018	კერძო		01.09.2018	60	3	150
2018	კერძო		09.10.2018	60	3	150
2018	კერძო		04.12.2018	60	3	150
2018	კერძო	TOYOTA	04.09.2018	60	3	140
2018	კერძო		12.11.2018	60	3	130

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ ავტომანქანებზე, რომლებზეც ბრძანებით გამოიყოფოდა საწვავი, არ იყო სათანადოდ დამაგრებული „აგაი“ სისტემის ჩიპი და მისი გამოყენებით საწვავის ჩასხმა ხდებოდა სხვა ავტომანქანებშიც.

აუდიტის ობიექტის განმარტებით აღნიშნული შემთხვევების ნაწილი გამოწვეული იყო პრაქტიკული საჭიროებებით. კერძოდ, კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის უახლოესი ავტოგასამართი სადგური მდებარეობდა ქ. მცხეთაში, საიდანაც დუშეთის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი ადმინისტრაციული ერთეული დაშორებულია 50-150 კმ-ით. შესაბამისად, აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, ვერ ახერხებდნენ ავტოგასამართ სადგურზე მათთვის გამოყოფილი საწვავის ჩასასხმელად თვეში რამდენჯერმე ჩამოსვლას. ამიტომ, საწვავს ასხამდნენ როგორც ავტომანქანის ავზში, ასევე დამატებით ჭურჭელში, ჩიპის მოხსნის გზით. ავტორიზებულ მანქანაზე დამონტაჟებული „აგაი“ სისტემის ჩიპის მოხსნა ეწინააღმდეგება კონტროლის მიზნებს და ზრდის საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის რისკს. ამიტომ, მსგავს შემთხვევებში მერიამ უნდა უზრუნველყოს პროცესის სხვაგვარად ორგანიზება და შესაბამისი კონტროლების დანერგვა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე.

აუდიტის ობიექტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებისას საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, მუნიციპალიტეტმა რიგ შემთხვევაში ხარჯი გასწია საბიუჯეტო ასიგნებების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვის ვალდებულების დაცვის გარეშე.

რეკომენდაცია №9. მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის შესახებ, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ, რომელიც მიზანშეწონილია დაფუძნებული იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პრინციპებზე.³⁶ მერიამ დააწესოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის არარაციონალური და არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების თავიდან აცილებას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს საწვავის ხარჯვის საკითხი და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები პასუხისმგებელი პირების მიმართ.

ქონების იჯარით გაცემისას არსებული ნაკლოვანებები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტის ქონება არის მის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. კანონმდებლობის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებულია, შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოს ქონების მონიტორინგი და დაიცვას მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის კანონიერი ინტერესები.³⁷

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტს გაფორმებული ჰქონდა შესაბამისად 26 და 27 ხელშეკრულება ქონების სარგებლობის უფლებით გაცემაზე. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში მოიჯარეების მიერ გადასახდელი ქირა 2017-

³⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“.

³⁷ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 109.

2018 წლებში ჯამურად შეადგენდა 78.8 ათას ლარს, ხოლო მათ მიერ გადახდილია 68.2 ათასი ლარი (87 %).

ხელშეკრულებების ნაწილი³⁸ გაფორმებულია 2011-2017 წლებში პირდაპირი განკარგვის წესით. შესწავლით გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტს ქონება გაცემული აქვს საბაზროზე დაბალ ფასად. კერძოდ:

2012 წელს შპს „ანანასთან“ გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება. იჯარის ობიექტს წარმოადგენს ანანურის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 157 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით (სავაჭრო პავილიონი). ხელშეკრულება ძალაშია 2022 წლის ივნისამდე, ხოლო იჯარის საფასურად განსაზღვრულია 150 ლარი თვეში. ხელშეკრულების გაფორმებიდან აუდიტის მიმდინარეობის პერიოდამდე ფასის გადახედვა არ განხორციელებულა. შპს „ანანას“ ფართის ნაწილი გაცემული ჰქონდა ქვეიჯარით. ქვეიჯარის ხელშეკრულებების შესწავლით დადგინდა, რომ კომპანიას 2016 წლის მდგომარეობით ფართის ნაწილი გაქირავებული ჰქონდა თვეში 900 ლარად, რაც მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტსა და შპს „ანანას“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული საიჯარო ქირა საბაზროზე გაცილებით ნაკლებია და მუნიციპალიტეტი კარგავს დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.³⁹

გარდა ამისა, გამოვლინდა ორი შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები:

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 64-ე კმ-ის მიმდებარედ მუნიციპალიტეტი ფლობს 349 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართს.⁴⁰ მიწის ნაკვეთით სარგებლობს ფიზიკური პირი, რომელსაც მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული აქვს კვების ობიექტი. მუნიციპალიტეტთან ფართით სარგებლობაზე შესაბამისი იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული არ არის.

სოფელ ნადიბაანში, მუნიციპალიტეტის კუთვნილი 70 კვ. მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით⁴¹ ასევე სარგებლობს არაუფლებამოსილი ფიზიკური პირი.⁴²

³⁸ 10 საიჯარო ობიექტი.

³⁹ აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იგეგმება შპს „ანანასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საიჯარო ქირის გაზრდა.

⁴⁰ ს/კ - 71.54.06.425.

⁴¹ ს/კ - 71.62.55.070.

⁴² აუდიტის შედეგებზე ინფორმირების შემდეგ, მერიამ შეტყობინებები გაუგზავნა არაუფლებამოსილ პირებს და განუსაზღვრა გონივრული ვადა მიწის ნაკვეთების განთავსულებისათვის.

დასკვნა

მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ძირითად მიზანს დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღება წარმოადგენს, რომელიც ზოგ შემთხვევაში სათანადოდ ვერ იქნა მიღწეული. კერძოდ, მუნიციპალიტეტს არ უმსჯელია სარგებლობის ფორმით განკარგული ქონების, ხელშეკრულებით დადგენილი ფასის საბაზრო ფასთან მისადაგებაზე. ასევე ორ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონებით სარგებლობენ არაუფლებამოსილი პირები შესაბამისი საფასურის გადახდის გარეშე. შედეგად, მერია მის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილს სათანადოდ ვერ განკარგავს.

რეკომენდაცია №10. მუნიციპალიტეტის მერიამ, უზრუნველყოს სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების საიჯარო ღირებულების გადახედვა საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, განახორციელოს საიჯარო ფასების კორექტირება. ასევე, მერიამ დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომელთა საშუალებით მინიმუმამდე იქნება შემცირებული მუნიციპალური ქონების თვითნებურად დაკავების რისკი. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მოზილეზებას.

იურიდიული პირების მართვაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი. მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს ა(ა)იპ, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.⁴³

დაწესებულების ხელმძღვანელმა ორგანიზაციაში და მის დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა. აღნიშნული რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება.⁴⁴ შესაბამისად, იურიდიულ პირებში დასაქმებულთა რიცხოვნობა და მათზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობები განსაზღვრული უნდა იყოს რეალურ საჭიროებებზე დაყრდნობით.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 27%-ს სუბსიდია შეადგენდა. სუბსიდიით დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ები, რაც 2017 წელს შეადგენდა - 2,760.0 ათას ლარს, ხოლო 2018 წელს - 3,319.9 ათას ლარს. 2017 წელს, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 10, ხოლო 2018 წელს - 11 ა(ა)იპ.⁴⁵ რომლებშიც დასაქმებული იყო

⁴³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 1 და 2.

⁴⁴ საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ, მუხლი 6.

⁴⁵ შეიქმნა ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“.

შესაბამისად 591 და 648 თანამშრომელი. ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რიცხოვნობის თანაფარდობა დუშეთის მოსახლეობის რაოდენობასთან⁴⁶ მიმართებით საკმაოდ მაღალია. ამასთან ფიქსირდება იურიდიულ პირებში დასაქმებულთა ზრდის ტენდენცია. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ ა(ა)იპ-ებში საშტატო რიცხოვნობა არაგონივრულადაა გაზრდილი და არ შეესაბამება რეალურ საჭიროებებს. ასევე არსებობს ალბათობა იმისა, რომ დასაქმებულთა ნაწილი ფუნქციურად დატვირთული არ არის ან არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. აღნიშნულს ადასტურებს აუდიტის შედეგად გამოვლენილი სხვადასხვა ფაქტი, კერძოდ:

-)/ ა(ა)იპ „დუშეთის კეთილმოწყობაში“ შტატით გათვალისწინებულია ტელეანძლის ოპერატორი. თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო ინფორმაცია მისი ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. პასუხისმგებელი პირების განმარტებით იგი ახორციელებდა ანძის დაცვას, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ანძა მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ ირიცხება და მის საკუთრებას არ წარმოადგენს.
-)/ 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა ა(ა)იპ „მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრი“, რომელიც მართავდა მაღაროსკარსა და ბარისახოში არსებულ სკოლა-პანსიონებს. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციაში დასაქმებული იყო ოთხი პირი, მათ შორის გენერალური დირექტორი და გენერალური დირექტორის მოადგილე.⁴⁷
-)/ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრი. 2017 წელს ცენტრში დასაქმებული იყო 5 თანამშრომელი, რომელთა რაოდენობა 2018 წელს გაიზარდა სამი ერთეულით. მათ შორის დაემატა დირექტორის მოადგილე, რომლის ფუნქციური დატვირთვისა და დამატების აუცილებლობის შესახებ ინფორმაცია ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ ხდება ზოგიერთი დასაქმებული პირის სრული ფუნქციური დატვირთვა; ანგარიშში წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი ა(ა)იპ-ებში კადრების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ. გარდა ზემოთ აღნიშნული მაგალითებისა, შესაძლოა არსებობდეს სხვა მსგავსი

⁴⁶ 26.1 ათასი კაცი.

⁴⁷ 2019 წელს აღნიშნული ა(ა)იპ გაუქმდა და სკოლა-პანსიონები გადავიდა განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში.

შემთხვევებიც, რომელთა გამოსავლენად და სათანადო ღონისძიებების გასატარებლად, საჭიროა მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება.

რეკომენდაცია №11. მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირებში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ფუნქციური დატვირთვა. საჭიროების შემთხვევაში, საკრებულოსთან შეთანხმებით უზრუნველყოს საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ხარვეზი

კრიტერიუმი. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად,⁴⁸ ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად უნდა შეიცავდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციას და პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

გამოვლენილი გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები არ არის შედგენილი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ცხრილი №6. საბიუჯეტო პროგრამების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

წელი	პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	შესრულების პროცენტი
2017	03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	758.2	359.6	47.4%
	03 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	478.1	167.1	35.0%
	03 05	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	2,167.8	573.1	26.4%
	03 06	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთადრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა	115.8	63.1	54.5%
	04 04	საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია	122.0	74.6	61.1%
2018	03 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	1,894.1	1,155.1	61.0%
	03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,323.5	2,041.6	61.4%
	03 03	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	312.3	78.9	25.3%
	03 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,258.6	830.4	66.0%
	03 05	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	2,600.3	700.0	26.9%

⁴⁸ მუხლი 87.

წარმოდგენილი პროგრამების საკასო შესრულების მაჩვენებლების შეუსაბამობა დაზუსტებულ გეგმასთან 30%-ზე მეტია, ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობა ითხოვს აღნიშნული შეუსაბამობების განმარტებას. მუნიციპალიტეტის მიერ შედგენილი 2017-2018 წლების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები არ მოიცავს პროგრამების შესრულებლობის მიზეზებსა და განმარტებებს.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი. კანონმდებლობის თანახმად,⁴⁹ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშგებო წლის ბოლოს. შედეგების გამოსავლენად ორგანიზაციის ბუღალტერია ადგენს შესაბამის შედარების უწყისებს. შედარების უწყისში აისახება ინვენტარიზაციის შედეგები – სხვაობა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს შორის.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით იქნებოდა საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც ევალებოდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაცია. აღნიშნულმა კომისიამ ინვენტარიზაცია განახორციელა ნაწილობრივ. კერძოდ, 2017 წელს ინვენტარიზაცია ვერ განხორციელდა 46 სოფელსა და 1 ადმინისტრაციულ ერთეულში,⁵⁰ ხოლო 2018 წელს სრულად ვერ ჩატარდა 5 ადმინისტრაციულ ერთეულში.

ჩატარებული ინვენტარიზაციების შედეგად შედგენილია აქტები და გამოყვანილია შედეგები. იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში სადაც განხორციელდა ინვენტარიზაცია, კომისიამ გამოავლინა სხვაობები მეტობით და ნაკლებობით. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აქტივების დანაკლისმა შეადგინა 43.3 ათასი ლარი.⁵¹

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ინვენტარიზაცია განხორციელდა მხოლოდ ნაწილობრივ, ამასთან გამოვლენილია ზედმეტობები და დანაკლისები, მუნიციპალიტეტში

⁴⁹ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

⁵⁰ პასუხისმგებელი პირის განმარტებით ინვენტარიზაცია ვერ განხორციელდა კლიმატური პირობების და გზის ჩაკეტვის გამო.

⁵¹ აღნიშნული მეტწილად მოიცავს 2017 წლამდე ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისების ღირებულებას, რაზეც 2016 წელს მიმართა მუნიციპალიტეტმა შესაბამის ორგანოს რეაგირებისთვის თუმცა საკითხი კვლავ მიეზის პროცესშია.

ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი არ არის სათანადოდ დაწესებული. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში 2017-2018 წლებში ინვენტარიზაცია განხორციელდა ნაწილობრივ. ამასთან ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტში დანერგილი კონტროლი არასათანადოა და ვერ უზრუნველყოფს ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევების თავიდან აცილებას.

შიდა აუდიტის სამსახური

კრიტერიუმი. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა და ფინანსების მართვის გაუმჯობესება. სამსახურის უპირველეს ფუნქციას სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გაუმჯობესებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება წარმოადგენს. რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

გამოვლენილი გარემოება. 2017-2018 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა 17 აუდიტორული შემოწმება⁵², მათ შორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში ჩატარებულია - 11, ხოლო მერიის სტრუქტურულ ერთეულებში კი 6 აუდიტი. ანგარიშებში არ არის გაანალიზებული დარღვევების გამომწვევი მიზეზები და შიდა კონტროლის სისტემები, არ არის გამოვლენილი სისტემური

⁵² 2017 წელი - 7, 2018 წელი - 10.

ხასიათის რისკები. ამიტომ, აღნიშნული რეკომენდაციები ვერ უზრუნველყოფს ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის სათანადო გაუმჯობესებას. ასევე აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულია გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. წარმოდგენილი მონიტორინგის შედეგების მიხედვით რეკომენდაციების ნაწილი შესრულებული არ არის⁵³. მიუხედავად იმისა, რომ მერიის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს ევალებოდათ შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების დროული შესრულების უზრუნველყოფა, მათი მხრიდან სათანადო რეაგირება არ მომხდარა.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ორგანიზება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა მერიის ფინანსების მართვის სისტემურ გაუმჯობესებას, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის სათანადო ხელშეწყობას.

რეკომენდაცია №12. მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი ორგანიზება, რომელიც მოახდენს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების შესწავლასა და შეფასებას, ასევე პროცესებში არსებული რისკებისა და სისტემური ხარვეზების გამოვლენას. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მისი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

საგრანტო პროგრამის განხორციელება

მუნიციპალიტეტი 2017 წელს ჩართული იყო საგრანტო პროგრამაში "გახდი გადაწყვეტილების მიმღები თვითმმართველობის განხორციელების პროცესში". აღნიშნული პროგრამა გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, მათ ინფორმირებას და ჩართვას თვითმმართველობის საქმიანობაში. ამ მიზნით საგრანტო დაფინანსების ფარგლებში მუნიციპალიტეტს უნდა დაემონტაჟებინა საინფორმაციო ბოქსები და უზრუნველყო მათი გამართული ფუნქციონირება.

⁵³ გაცემული 107 რეკომენდაციიდან ნაწილობრივ შესრულებულია 21, ხოლო შეუსრულებელია 19 რეკომენდაცია.

2017 წლის აგვისტოში მუნიციპალიტეტმა საგრანტო პროგრამის ფარგლებში შეისყიდა 5 ცალი ინფო ბოქსი, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 19.6 ათასი ლარი⁵⁴ და სპეციალური პროგრამა, სერვერი - ღირებულებით 7.2 ათასი ლარი.⁵⁵ მათი საშუალებით მოსახლეობას უნდა მიეღო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საქმიანობის, განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ. ბოქსები განთავსებულია ქ.დუშეთსა და სოფლებში - ჟინვალი, მჭადიჯვარი, ჭოპორტი და ფასანაური. აუდიტის ჯგუფის მიერ საინფორმაციო ბოქსების ადგილზე დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ბოქსები გამორთულია, არ ფუნქციონირებს, ხოლო სოფელ ფასანაურში განთავსებული საინფორმაციო ბოქსი დაზიანებულია (გატეხილია მონიტორი). შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა მიღებული საგრანტო დაფინანსების ფარგლებში დახარჯა 26.8 ათასი ლარი, თუმცა მიუხედავად ამისა, პროექტის მიზნები ვერ იქნა მიღწეული.

წინა აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების მდგომარეობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მუნიციპალიტეტის 2014-2015 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა არსებითი ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა წინა აუდიტის შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული რეაგირებები. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით სამართალდამცავ ორგანოებში მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ამ ეტაპზე დასრულებული არ არის. თავის მხრივ აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახულ ხარვეზებზე რეაგირებების შესახებ. თუმცა, შესამოწმებელ პერიოდში განმეორებით დაფიქსირდა ზოგიერთი დარღვევა, კერძოდ: საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელების ხარჯები ანაზღაურებულია შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, სამშენებლო სამუშაოების გამართვებული წესით შესყიდვის დროს ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული

⁵⁴ NAT 170007293 ხელშეკრულება №196.

⁵⁵ CMR 170137975 ხელშეკრულება №197.

აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

მუნიციპალიტეტი (შესაბამისი პასუხისმგებელი პირები) ვალდებული იყო გაეტარებინა საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის ანგარიშში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად და შესაბამისი შედეგების მისაღებად, რაც სრულად არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია №13. მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და სახელმწიფო აუდიტის სამსახურში წარმოადგინოს ღონისძიებათა გეგმა აუდიტის ანგარიშში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის; გონივრულ ვადაში ასევე წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ, მერიამ გაატაროს სათანადო ღონისძიებები იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აღნიშნულ დარღვევა-ნაკლოვანებებზე რეაგირება და არ გაატარეს საკმარისი და შესაფერისი ღონისძიებები აუდიტის წინა ანგარიშში ასახული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს შოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორები

ხელმოწერა

სახელი, გვარი

ბარამ ონიანი

უფროსი აუდიტორი

ლალი ამბროლაძე

აუდიტორი

სოფიო ბელთაძე

აუდიტორი

ზურაბ ტუსკაძე

აუდიტორი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38